საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N56/25

2023 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე კომისიის 2022 წლის 29 სექტემბრის N43/3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე კომისიის 2022 წლის 29 სექტემბრის N43/3 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N3 - განაცხადის ფორმა ,,აბონენტის გაყოფის შესახებ“ - ჩამოყალიბდეს წინამდებარე გადაწყვეტილების დანართში მოცემული რედაქციით.
2. წყალმომარაგების ლიცენზიატებმა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (ოფიციალურად გაცნობიდან) 10 დღის ვადაში უზრუნველყონ მათ ოფიციალურ ვებგვერდზე და მომსახურების ცენტრებში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას ამ გადაწყვეტილების დანართით დამტკიცებული ფორმის განთავსება.
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან (მხარისათვის ჩაბარებიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით თვალაბეიშვილი

კომისიის წევრი